№ 26. 4 თებერვალი, შაბათი. 1866—1884 4 თებერვალი, შაბათი. № 26.

«დროების» რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ., 8 თვით—7 მან.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ; 1 თ.—1 მ.

დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპიკი. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბ უნებს აგტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

დროების ფასი პირველი თებერვლიდამ წლის დამლევამდე 8 მანათი და 50 კაპ.

არწრუნის თეატრი.

კვირას, 5 თებერვალს

ბენეფიციანტი მ. მ. მძინარაოვისა

ქართული დრამატიული დასის ამხანაგობისაგან წარმოდგენილი იქნება

I

მისანი

კომედ. 3 მოქმ. თხზ. ბ. შმიკაშვილისა.

II

ბაიყუში

კომედ. 2 მოქმ. თხზ. ა. Сагареліისა.

დასაწყისი 8 საათზედ. (2—1)

ეზ. კოსტანტინე სოლომონის-ძე დიდებულიძე ამით ვაცხადებ, რომ ვსწერ ოთველ გვარ არზებსა და ვაწარმოებ ოთველ გვარ სიცხლის სამართლის წესით საწარმოებელ საქმეებსა, აგრეთვე ზოგიერთა სამოქალაქო საქმეებსაც მომრიგებელ მოსამართლეებთან. ლარიბთათვის უფასოთ. მუდმივ კომოფები ქ. დუშეთში, ჯ. გოგიჩის სახლებში. (2—1)

გორის უეზდის კეთილშობილთა წინამძღოლელი

აცხადებს და უმორჩილესად სთხოვს უეზდის თავადთ და აზნაურთ მობრძანდენ ქ. გორს თებერვლის 5 დღესა, ათ საათზე, უეზდის კეთილშობილთა კრებაზე, რომელზედაც იქნება სალაპარაკოდ შემდეგი საგნები; 1) განაწილება ფულისა თავად-აზნაურზე, აღსადგრელათ მათი შვილებისა. 2) განაწილება ფულისა შესანახად დეპუტატის კრების და წინამძღოლელების კანცელარიისა, და 3) მოსალაპარაკებლად თავიანთ საჭიროებაზე და სასარგებლო საგნებზე. (3—3)

მოსწავლეთათვის იაფი სასადილოების გამართვის თაობაზე.

თბილისი, 4 თებერვალს.

თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელმა საზოგადოებამ განიძრახა იაფი სასადილოების გამართვა იმ მოსწავლეთათვის, რომელნიც მოკლებულნი არიან იაფს და მარგებელს სასმელ-საჭმელს. ესრეთი განძრახვა ხსენებული საზოგადოებისა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ თბილისში ღარიბ მოსწავლეთა რიცხვი დღითი-დღე მატულობს; ამათ არა აქვთ საკმარისი ღონისძიება რიგიანად შეინახონ თავი; მშობლებთანა და ნათესაეებთან მოშორებულნი, ისინი მოკლებულნი არიან მშობლიურს ყურადღებას, იძულებულნი—იცხოვრონ ცუდ სადგომებში და იარონ პურის საჭმელად ისეთს სასადილოებში, რომლებშიაც, უმეტეს ნაწილად, გროვდება საეჭვო ზნეობის ხალხი. ეს გარემოება, რა საკვირველია, ცუდად მოქმედობს მოსწავლეთა ზნეობაზე, ჯანმრთელობაზე და, მაშასადამე, მათ წარმატებაზე სწავლაში. მოსწავლეთა ესრეთი არა სანატრელი მდგომარეობა მეტად საგრძნობელია ისეთს დიდს ქალაქში, როგორიც თბილისია. დღემდის არც საზოგადოებას, არც იმ უწყებას, რომელთანაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვს მოსწავლე თაობას, არაფერი უფიქრია მოსწავლეთა საზარელ მდგომარეობაზე და, მაშასადამე, არც არაფერი გაუკეთებია.

ბონში შესული საზოგადოება, რომელიც საკუთარ მომავალზე ჰფიქრობს, უნდა ცდილობდეს რიგიანად აღზრდოს თვისი მოზარდი თაობა და შეძლებისამებრ აეცდინოს მას ყოველივე, რაიცა ხელს უშლის მოზარდი თაობის წარმატებას. ჩვენდა საბოდიშოდ, მხოლოდ უმცირესი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა დაკვირვებია მოსწავლეთა მდგომარეობას და შეუგნია, თუ რა ცუდი გავლენა აქვს მოსწავლე თაობაზე სიღარიბეს და საზოგადოდ არა რიგიანად მოწყობილს ცხოვრებას. თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ უმეტესი ნაწილი საზოგადოებისა ერთობ ნაკლებადა ჰფიქრობს მოსწავლეთა მდგომარეობაზე. დავაკვირდეთ პირველი გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების მდგომარეობას და მოღვაწეობას, და ყველანი დაგვეთანხმებიან, რომ იმას ჯერჯერობით თითქმის არა მოუქმედებია-რა მოსწავლეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

დამხმარებელი საზოგადოება მოკლებულია საკმარისს ნივთიერს საშუალებას, რაიცა, რასაკვირველია, წარმოსდგება საზოგადოების გულგრილობისა და დაუდევრობისაგან. ძირითადი თანხა დამხმარებელი საზოგადოებისა არ აღემატება 500 მან., მაშასადამე, საზოგადოების მოღვაწეობა მოქცეულია ერთობ ვიწრო კალაპოტში. აი ამისთანა მცირე საშუალების მქონე საზოგადოებას გაუბედავს მოსწავლეთათვის შემწეობის აღმოჩენა იაფი სასადილოს დაარსებით. რა და როგორ უნდა გაარიგოს მან თავის აზრის განსახორციელებლად? ეს კითხვა დადგენილ და გარჩეულ იქმნა «საზოგადოების» სხდომაზე ამ თვის 29-ს. მკითხველს ეხსომება, თუ რა დაადგინა საზოგადოებამ და რა საბუთებით ხელმძღვანელობდა იგი. საზოგადოებამ ხელმოკლეობისა და სხვა ზოგიერთა მიზეზთა გამო თვითონ ვერ იკისრა სასადილოების გამართვა. ამიტომაც საუკეთესოდ სცნო ზოგიერთა სასადილოების პატრონთაგან აღმოერჩია უფრო კეთილ-სინდისიერი კაცისა, რომელიც საზოგადოებისაგან სუბსიდიას მიიღებს და იკისრებს იაფი სასადილოს გამართვას მოსწავლეთათვის იმ რიგზე, რაგორსაც დამხმარებელი საზოგადოება ისურვებს.

თუმცა საზოგადოებას ჰქონდა საბუთი ესრეთი გარდაწყვეტილების დადგენისათვის, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ იგი ამ ზომით ვერ მიაღწევს თავის დანიშნულებას. ძველმოქმედებითი საქმის მარტო ეაჭრულს ნიადაგზე დამყარებით დამხმარებელი საზოგადოება ვერ განახორციელებს კეთილს აზრს, რადგანაც ადამიანის კეთილ-სინდისიერობის გამოკვლევა, მეტადრე ეაჭრულს საქმეში, ერთობ ძნელი საქმეა; გარდა ამისა, ნორმალური კონტროლის დადგენა მოსწავლეებზე სასწავლებელთ გარეშე მეტად სამძიმოა და თითქმის მოუხერხებელიც. ამიტომაც ის ზომა, რომელიც საზოგადოებას საუკეთესოდ უცვნია, ჩვენ ფუჭად ეგვაჩნია. ჩვენ ეფიქრობთ, რომ შესაძლებელია სხვა რიგად საქმის მოწყობაც: ყოველს დიდს სასწავლებელში არის პატარა ბუფეტი, რომელშიაც მოსწავლეები ყიდულობენ საუზმეს; როგორც ვიცით, ამ ბუფეთის პატრონებს კარგი შემოსავალი აქვთ. ბუფეტის პატრონები დიდის სიამოვნებით იკისრებენ იაფი სასადილოს გამართვას მოსწავლეთათვის, თუ რომ დამხმარებელი საზოგადოება ან თვით სასწავლებელიც ცოტაოდენს შეღავათს აღმოუჩენენ მათ. საზოგადოებას» შეუძლიან ცოტაოდენი სუბსიდია დაუნიშნოს ბუფეთის პატრონსა, სასწავლებელს შეუძლიან უფასოდ მისცეს ერთერთი ოთახი. ამ შემთხვევაში მოსწავლეები სრულიად

დროების ფასი პირველი თებერვლიდამ წლის დამლევამდე 8 მანათი და 50 კაპ.

«დროების» ტელეგრაფი, 4 თებერვ.

სამშვილდე.

(დასასრული*)

ბაეიარეთ სოფელი სამშვილდე; ჩაეეკიდენით თავქვე—ჩვენ ჩავდოდით ჰიეჭაეის ხეეში, რომელიც სამშვილდის ციხეს ჩაუდის ჩრდილოეთით. ხეეი ღრმად არის კლდეებში ჩაჭრილი და რამდენიც უფრო უახლოვდება ქცის ხეეს, იმდენი სიღრმე ემატება; ხეესა აქეს ორასი მხარი სიღრმე. მაღალი ბროლის-კლდოვანი ხეეის პირები თეთრად გამოჩანდენ. ხეეში და გზის პირებზე ბლომად ეყარა მთიდამ ჩამოცვენული დაკუთხული ბროლი. ბაეედით პატარა მდინარეს; ავიარეთ კლდოვანიეე აღმართი. ჩვენ წინ გამოჩნდა პატარა ეაკე, რომელიც აღმოსავლეთისკენ თან-და-თან ვიწროვდებოდა და თავდებოდა მწვეტ-კუთხედ იქ, სადაც ჰიეჭაეა ერთვის ხრამს. ეს პაწაწა ეაკე არის ძეელი სამშვილდე. ქედლის ნანგრევნი და გაფანტული ლოდები ცხადად გვიჩვენებდენ გარეთი ციხის ზღუდის ალაგს. შეეველეთ ნანგრევნი; შეეედით ციხეში.

გარეთი ციხის შესავალთან სდგას ქვის მცირე ეკლესია, რომელსაც ჩაჰკონოდა ფოთოლა და დროებისაგან ხელ-დარეულს, დავიწყებულს მხოლოდ ის ანუგეშებდა. ეკლესიის კარის ზღუდედ გადადებულ დიდ ქვაზე აწერია: «ნებითა ღვთისათა და ბძანებითა მეფის ვახტანგისათა და ხელის აპყრობითა მემცხედრისა მისისა და დედოფლისა ელენესითა მე, მისმა გამ.ელმა ზ-ლიხან, აღვაშენე საყდარი ესე წ-ის ბიორდის სახსრად სულისა ჩემისა. ვინც წაიკითხოთ, ლოცვა ჰყავთ ჩემ ცოდვილისათვის. ქ. ვ-ნ ს-ა ტ-ნი».

ამ ეკლესიის კარგა ქვეით, აღმოსავლეთის მხარეს, სდგას მეორე ეკლესია, რომელიც ჯერეც არ არის დაეიწყებული გულმოდგინე ერისაგან. ამ ეკლესიის შუაში ამართულია ქვა სიმაღლით ერთ საჟენზე ცოტა მეტი, სიგანით ერთ არშინზე მეტი. ქვაზე ამოჭრილია ჯვარი; ჯვარის ფთებ ზეეიდან და ქვეშ არის ნაწერი, მაგრამ ვერ გავარჩიე, რა ენაზე. ქვა შემოსილია ალაბანით და ნაქსოვი ფარჩებით. ამ ქვას ხალხი აწერს სასწაულთ-მოქმედების ძალას და შეუდგენია მასზე შემდეგი ლეგენდა:

ოთფილა დრო, როდესაც ქართველთაგან სჯულის გადამაელობას მიეულწეეია იმ ზომამდინ, რომ ძლიერ გაწურისხებია საქართველოს ლმობიერი მფარველი ღვთისმშობელი მარიამ. განრისხებული ქალწული სჩენებია სიზმრად სამშვილდის მღვდელს და უბძანებია: ეიწყებ ამოსელას დედამიწიდამ ქვის-სახით და უკეთუ ერი არ მოიქცევა, აღეიზდები ზეცამდი და დავაქცევ საქართველოს. მართლაც, მეორე დღეს მიწიდამ დაუწყეია აღმოზდა ქვას... განცვიფრებულ ხალხს, გაუგია რა მღვდლისაგან, თუ რას ნიშნავს ეს მოვლენა, მოუწანია და ნიშნად სინანულისა გარდაუშენებია ამომავალ ქვაზე ეკლესია. ქვის ზრდა შეჩერებულა. საქართველო გადარჩენილა....

ამ ეკლესიის მარცხენა კედელში დატანებულია ქვის ემბაზი სიგრძით

*) იხ. «დროება» № 25.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაშორებულნი იქმნებოდენ საეკეოზნეობის ხალხისაგან; კონტროლიც ერთობ მცირე დასჭირდებოდათ და ადვილი მოსაწყობიც იქნებოდა. ჩვენ ეს ზომა საუკეთესოდ მიგვაჩნია და ვფიქრობთ, რომ თვით დამხმარებელი საზოგადოებისათვისაც თვისი ხელმოკლეობისა გამო უფრო ადვილად შესასრულებელი იქნებოდა.

ეს აზრი საზოგადოების წარსულს სხდომაზე გაკვრით გამოითქვა, მაკრამ ზოგიერთა სასწავლებლების წარმომადგენლებმა უარი სთქვეს მასზე, რადგანაც სასადილოების სასწავლებლის სადეკომში გამართვა მეტს შრომას და დროს მოინდომებს ჩვენის მხრითაო. ჩვენ კი ეფიქრობთ, რომ სასწავლებელთა წარმომადგენლებს რომ მომეტებული გულ-მტკივნეულობა გამოეჩინათ ღარიბ მოსწავლეთათვის, საქმეც ადვილად გარიგდებოდა, რადგანაც სასადილოების გამართვა სასწავლებლის სადგომში მათ ხელს არაფერში შეუშლიდა; სასწავლებლის გარეშე კი სასადილოების გამართვა, ჩვენის აზრით, მეტს დროსა და შრომას მოითხოვს, როგორც თვით გიმნაზიის წარმომადგენელთაგან, აგრეთვე დამხმარებელი საზოგადოების ხევრთაგან.

ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

თუმცა თაილისში ტამოქნის მოხელეები ცხარედ ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას, მაგრამ არც ბათუმის მეტამოქნენი ჩამორჩებიან უკან. აი ერთი მაგალითი ამ უკანასკნელთა ერთგულებისა და მუყაითობისა: ამას წინად ერთს ვაჭარს ბათუმის მაზრაში უყიდნია ასი ტომარა კაკალი როსტოვში წასაღებად. სიფთხილისათვის აუღია მოწმობა მამასახლისისა, ოლქის უფროსისა და, მგონი, კიდევ «ზასტავის» ზედამხედველისა მასზე, რომ ეს კაკალი ბათუმის მაზრაშია მოსული და უცხო-ქვეყნის საქონელი არ არის, მაგრამ მოწმობებს ვერაფერი უშველიათ და მეტამოქნეთ ეს კაკალი წაურთმევიათ, როგორც კონტრაბანდა. ვაჭარი ბევრსა ცდილა, აეცდინა თავის საქონლისათვის ეს რისხვა მეტამოქნეთა, მაგრამ ცდა ამაოდ დარჩენია. როგორც შევიტყეთ ამ ვაჭრის მოსარჩლეს (ადვოკატს) ბ. ს—ოვს საქმე სასამართლოში გადუცია.

ᲐᲛ კვირია ინჟენერების უწყებას გადააქვს სენატში კასაციით ერთი საყურადღებო საქმე: ხსენებულს უწყებას უნდა მიეცა ერთის პირისათვის **158,000** მანათი, მაგრამ საქმე სასამართლომდის მისულა. სასამართლოს ინჟენერების უწყებისათვის გადაუწყვეტია გადახდა **185,000** მან. **158,000** მანათის მაგივრად. როგორცა ჰხედავს მკითხველი, გადაწყვეტილების წერის დროს ციფრებს შეუთამაშნიათ და ერთი-ერთმანეთის ალაგს დამსხდარან, და ამ უნებურს შეცდომას გადაწყვეტილების დამწერი მოსამართლისას **27,000** მანათი მეტი მიუნიჭებია მომჩივარისათვის, ვიდრე თითონა თხოულობდა. რასაკვირველია, ეს გარემოება კასაციის უმთავრეს საბუთად არის დასახელებული.

ᲩᲕᲔᲜᲐ გვწერენ: «29 იანვარს, მეზვერისა და შარისეველის კვირას, მღვდელმა დამიტრი ჯანაშვილმა დაიწყო ქადაგებების თქმა ანჩის-ხატის სობოროში. ხალხი ბლომად დადის და დიდის სიხარულით უგდებს ყურს, რადგან მისი სიტყვა ცოცხალია და გრძნობით სავსე. იგი დაჰპირდა ხალხს, რომ მოძღვრებას იტყვის ყოველ კვირას და დღესასწაულს დღეს ანჩის-ხატის სობოროში. თებერვლის ორს, უფლის მირქმის დღეს, მამა ჯანაშვილმა მეორე მოძღვრება უთხრა ხალხს. ღმერთმა ჰქნას, რომ ამისთანა მზნე და განათლებული ძღვდლები ბევრი ჰყოლოდეს საქართველოსა».

ᲖᲝᲠᲘᲓᲒᲐᲜᲐ გვწერენ: «ძლივს ველირსენით ჩვენი ზორის რკინის ხიდის ნახვას და იმედია მალე დასრულდება კიდეც. მაგრამ, რაკი რკინის ხიდი გვიკეთდება, აქაური გამგეობა სრულიად ყურადღებას აღარ აქცევს ძველ ხიდსა, რომლიდგანაც იჯარა ძალიან კარგი შემოსდის; ხიდი სრულიად დალპა და მოიჯარადრე აქა-იქ ნაფოტებს აწყობს, რომ ნაკლებულება არ შეეტყოს. 25 იანვარს ერთი საწყალი კაცი ძლივს გადარჩა სიკვდილს თავის საპალნიანი ცხენით, რომელსაც ფეხი ჩაუვარდა და ძლივს ამოაღებინეს. თუ არა უშველეს-რა ამ ნაკლულევანებას, შეიძლება ხიფათი მოხდეს რამე».

ᲩᲕᲔᲜᲘ გაზეთის **21** №-ში «შინაურ ქრონიკაში», სხვათა შორის, დაბეჭდილი იყო, ვითომც ბათუმის მომრიგებელი მსაჯულის თარჯიმანს ერთის აჭარელისათვის შვიდი მანათი გამოერთმიოს და იმისათვის მსაჯულს გამოეგდოს სამსახურიდგან. ეს ცნობა უნებურად შეცდომით იყო მოხსენებული, რადგანაც იგი არ შეეხებოდა მსაჯულის თარჯიმანს, არამედ ამავე მსაჯულის მწერალს.

ᲪᲮᲐᲠᲔᲓ მუშაობს ჩვენი სამეურნეო საზოგადოება, მაგრამ არ კი ვიცით, ამ მუშაობს შედეგი ექნება რამე თუ არა. თებერვლის დამდეგს პეტერბურგში უნდა შეუდგენენ აქციზის წესების გადახედვას და იქნება ამ საზოგადოების აზრმა ველარცკი მიუსწროს. ამის გამო, საზოგადოება, რაც კი შეეძლება, ჩქარობს და ცხარობს. ერთ კვირაში სამი სხდომა ჯერედ მას არ უნახავს.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ საღამოზედ ისევ ისე შეუდგენენ კომისიის აზრის გარკვევას. ქრებამ მიიღო, რომ ფორმალური წესები, რომელნიც ეხლა არსებობენ, მეტის-მეტად სამძიმონი არიან, რადგან ხალხმა არ იცის ის ენა, რომელსაც კანცელიარიებში ხმარობენ, გზები მეტად უვარგისნი არიან და გლეხ-კაცობისთვის ძნელია ამ გზებზედ შერეულ ხაზინებში სიარული ორიოდ თუნგი არაყის გამოხდისათვის ნება-რთვის ასაღებად. ამას გარდა, თუთის არაყს ერთბაშად კი არა ჰხდიან, ჰხდიან იმის კვალობაზედ, როგორც თუთა მწიფდება და პატრონმა მუდამ უნდა ხაზინაში იაროს ახალ-ახალი ნება-რთვის ასაღებად. ერთმა წარმოადგინა კიდეც მაგალითი, რომ გლეხ-კაცს **6** მანათიან მოწმობის აღებაში **2** მან. და **50** კაპ. მარტო არზაზედ და სხვა ფორმებზედ დაეხარჯაო.

თავმჯდომარემ გამოაცხადა,—ვინც თანახმა არა ხართ, რომ ეხლანდელი წესები ავიწროებენ წარმოებას, ფეხზე წამოდეგითო. წამოდგა მხოლოდ ერთი აქციზის ჩინოვნიკი და მას მიჰყვა მეორე—მგონია, ესეც აქციზის ჩინოვნიკი.

მასუკან კრებამ აღიარა, რომ ეს შემავიწროებელი წესები ისე არა მოქმედებენ დიდ წარმოებაზედ, როგორც წვრილზედ; რომ გლეხ-კაცობაში ბევრმა დაანება თავი არაყის ხდას და ეს წარმოება მხოლოდ იმ ალაგებში-ღაა, სადაც ნაწარმოები მარჯვედ საღდება.

ᲐᲛ წინადადების წინააღმდეგაც ზემოხსენებულნი ორნი პირნი წარმოდგნენ.

ბოლოს კრება არ დასჯერდა ძველის დაწუნებას და შეუდგა აქციზის ახალი სისტემის გამოძებნას. კომისიის უმრავლესობა იმ აზრისა იყო—და ამ აზრსაც ადგა თავმჯდომარე კომისიისა ბ. ვინოგრადოვი,—რომ ავსტრიული წესი შემოვიღოთო, ე. ი. წარმოების სიდიდის კვალობაზედაო. ამ შემთხვევაში უნდა გამორკვეული იყოს ვადა წარმოებისა, მასალა, რისგანაც არაყსა ჰხდიან, ისიც და თუ რამოდენი ქვაბია, რამდენი იხდება და სხ.

ᲐᲛ, მეტად სამძიმო და ძნელი, წესის წინააღმდეგ წაიკითხეს თავ-თავიანთი აზრები კომისიის უმცირესობის წევრთა—ბბ. ელიოზოვმა და ლამბაროვმა. პირველი ამტკიცებდა, რომ სჯობს ისეთი წესი შემოვიღოთ, რომელიც წარმოებას არ უშლიდეს, და თუ აქციზი აუცილებელია, იგი დაედოს წარმოებას კი არა, არამედ წარმოებისათვის საჭირო საგნებს: ან საარაყე ქვაბებს სიდიდის კვალობაზედ, ისე რომ ქვაბის პატრონს შეეძლოს, რამდენიც უნდა და როდესაც უნდა, ჰხადოს შემდეგ გადაწყვეტილი გადასახადის გაღებისა, ან ვენახებზედ დანებული კედელი, რომელიც ჩასდევს თრიალეთზე თვით ხრამამდინ, ხოლო სამის მხრით—მიუვალი ხრამის და ჭიეჭავის ხევნი. რამდენი ნანგრევებია ამ პაწაწა ალაგზე! აგერ აბანოს ნაქცევი, რომლის კედლებიდამ გამოჩანან სუფთად ნაკეთი თიხის მილები; აგერ წყლის საგუბარი აუზები, ისინი კიდეც ამსილან მცენარეებით; აი ეკლესიათა ნანგრევნი, მათში ზოგან კიდევ შენახულა უწინდელი ნახატები; აი სამშვილდის სიონიც, რომელიც დანგრეულიც კი ცხადად გვიჩვენებს ამშენებლების სასოებას და მხნეობას, მაგრამ ჟამს თითქო ესეც ენანება: ამოუშლია ეკლესიაზე ირგვლივ ნაწერიც კი, რომ შთამომავლობას დაუკარგოს მასზე ცნობები.—შეხედე...

მაგრამ ამას რას ეხედავ!? წმიდა ადგილნი, ძველნი ეკლესიანი—ნაშთნი ჩვენის წარსულისა,—ესე გაერა-

---

$^3/_4$, სიგანით $^1/_2$ არშინი; მარჯვენივ ასევნია ქვაზედ გამოჭრილი ჯვარი. ეკლესია კიდევ გვარიანად არის მოვლილი. ამ ეკლესიიდგან აღმოსავლეთისკენ კიდევ ეკლესიაა, მაგრამ უწმინდურად დაცული. ბარშემო ბლომად არის გაფანტული საფლავის ქვები, რომლებზედაც მხოლოდ მშვილდისარია ამოჭრილი*). ხრამის ხევისკენ აწყვია ზედი-ზედ ოთხი უზარ-მაზარი ქვა; იქვე ჰგდია სიდიდით მათ შესაფერი გელაზი: აქ უნდა ყოფილიყო გამართული ზეთის სახდელი და ის დიდრონი ქვები ალბად ბერკეტის დასამაგრებლად ეწყვენ. ხალხის ფანტაზია სხვა გვარად ჰხსნის ამ ქვების ამბავს.

ᲰᲡᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲓᲐ, მოგვითხრობს ხალხი, სამშვილდეს კაცი, რომელსაც ჰყვანდა სამი შვილი. ამ სამ ძმას ჰყვანდათ ერთი და. ძმები შეიჯიბრნენ ლონეში: უფროსმა ძმამ მოიტანა დიდი ქვა და დააგდო; მეორემ მოჰკიდა მეორე არა ნაკლებ ქვას ხელი და შესდო პირველზე; მესამემ მესამე ქვა მოაქცია ზევიდამ. და ჯერ ღიმილით უმზერდა ძმების ვაჟკაცობის გამოჩენას, მერე მოავლო მეოთხე ქვას ხელი და სულ ზევით შეაგდო. ეს სამი შვილი იმ კაცისა და მათი და ისე გაითქვნენ შემდეგში, რომ მათგან დაედვა ციხესაც სახელი სამშვილდე:—სამი შვილი და მათი და=სამშვილ-და=სამშვილდე. ეს გვიამბო ერთმა იქაურმა მცხოვრებმა და, როდესაც ჩვენ ავუხსენით, რომ ციხის სახელი წარმოსდგება მშვილდისაგან, რომელიც ძველად საომარი იარაღი იყო, იმან ეჭვნეულად გაიქნია თავი.

ᲔᲮᲚᲐ გარეთ ციხე მთლად ბოსტნებით და ვენახებით არის მოფენილი. ჭიეჭავიდამ წამოღებული რუ ჭრწყავს უხვად დანთხეულ სისხლით ნასუქს მიწას. ხმალს აქ ბარისთვის დაუთმია ალაგი.

მცირე ველი, რომელიც შეადგენს გარეთ ციხეს, აღმოსავლეთისკენ იზღუდება შიგნით ციხის კედლით. ძველი შედარებით კარგად შენახულა; მეტადრე კარგად არიან შენახულნი ციხის შესავალის აქეთ-იქით აყვანილი ბურჯები. ქარი აღარ შერჩენია ციხეს; მის მაგივრად ხარიხოებია გაწყობილი, რომ იქ შელაღული საქონელი ველარ გამოვიდეს და ვენახები არ წაახდინოს. შევედით შიგნით ციხეში; მას ერთის მხრით ზღუდავს ხსენებული კედელი, რომელიც ჩასდევს თრიალეთზე თვით ხრამამდინ, ხოლო სამის მხრით—მიუვალი ხრამის და ჭიეჭავის ხევნი. რამდენი ნანგრევებია ამ პაწაწა ალაგზე! აგერ აბანოს ნაქცევი, რომლის კედლებიდამ გამოჩანან სუფთად ნაკეთი თიხის მილები; აგერ წყლის საგუბარი აუზები, ისინი კიდეც ამსილან მცენარეებით; აი ეკლესიათა ნანგრევნი, მათში ზოგან კიდევ შენახულა უწინდელი ნახატები; აი სამშვილდის სიონიც, რომელიც დანგრეულიც კი ცხადად გვიჩვენებს ამშენებლების სასოებას და მხნეობას, მაგრამ ჟამს თითქო ესეც ენანება: ამოუშლია ეკლესიაზე ირგვლივ ნაწერიც კი, რომ შთამომავლობას დაუკარგოს მასზე ცნობები.—შეხედე...

---

*) ერთი ამ საფლავის ქვათაგანი, შეკაზმული ტყვნის სახით, არის გამოჭანდაკებული; ქვის გვერდებზე გამოჭრილია იარაღი, კული, მიმინო... ამ ჯურის ქვა თბილისის მუზეუმის შესავალში ჰგდია, მაგრამ სამშვილდისა უფრო მთლად არის შენახული. აგტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდვას ხარჯი დესიატინაზედ 1 მანათიდამ 2 მანათამდე, და ვისაც ნახევარ დესიატინაზედ ნაკლები ვენახი აქვს, იგი სრულიად განთავისუფლდეს. ღამბაროვი იმ აზრისა იყო, რომ წერილი ვენახის პატრონები სრულებით განთავისუფლდენ აქციზისაგან. ოარიე ეს პირნი ამტკიცებდენ, რომ შელავათის მიცემით არამცთუ არას დაჰკარგავს მთავრობა, ბოლოს მოგებაშიაც დარჩება, რადგან აქციზის შემავიწროებელი წესები წარმოებას ამცირებენ და ხალხის ეკონომიურს მდგომარეობასაც მეტის-მეტად აენებენ.

ამ საგანზედ უკანასკნელად მოლაპარაკება დაინიშნა პარასკევს საღამოსათვის.

უცხოეთი

— როგორც ამ უკანასკნელს ჟამს მოსული ტელეგრამებიდგან ვტყობილობთ, ბეკკერ-ფაშა ქ. ტოკართანაც დაუმარცხებიათ აჯანყებულებს. ბეკკერ-ფაშას უნდოდა თურმე ეს ქალაქი გაენთავისუფლებინა მტრისაგან, მაგრამ ბრძოლის წინადღესვე ყველა დარწმუნებული იყო, რომ ვერას გახდებოდა იგი აჯანყებულებთან; თუმცა ბეკკერ-ფაშამ კარგად იცოდა, რომ მტერს იმაზედ ბევრად მომეტებული ჯარი ჰყვანდა, მაგრამ მაინც კიდევ გაბედა მასთან შებმა, რადგანაც ჰფიქრობდა, რომ აჯანყებულებთ შორის არაერთარი რიგი და წესი არ იქნებაო და ამისგამო იმედეულობდა— იქნება დავამარცხოვო. ამას გარდა, ბეკკერ-ფაშას იმედი ჰქონდა, რომ მას დაეხმარებოდენ ზოგიერთა არაბთა თემნიც, რადგანაც ეს უკანასკნელნი ჰპირდებოდენ მას შველას; მაგრამ არაბებმა არ შეასრულეს თავისი სიტყვა, როგორც ამბობენ, იმიტომ, რომ ერთმა აჯანყებულთა მოთავემ, ოსმან-დაჰმამ, ურჩია თურმე მათ არ დაეღვარათ თავიანთ მემამულეთა სისხლი. ინგლისური გაზეთების სიტყვით, კაირში და სუაკიმში სრულიად არაფისა ჰქონდა იმედი, თუ ეს არაბები დაეხმარებოდენ ბეკკერს. აჯანყებულების რიცხვი ამ ბრძოლაში 20000 კაცამდინ უფილა, ხოლო ბეკკერ-ფაშას სულ 3750 კაცი ჰყოლია.

ეჭვი არ არის, რომ ბეკკერ-ფაშას დიდი იმედი არ ექნებოდა, თუ ის დაამარცხებდა მტერს იმ ძალით, რა ძალაც მას ჰყოლია, მაგრამ მაინც კიდევ შეუთვლია აჯანყებულებისთვის ბრძოლის წინად—სისხლის დაულვრელად დამმორჩილდით და მეც ჩემის მხრით სულყველას გაპატიებთ დანაშაულსაო. ბეკკერ-ფაშას სდომებია ამ სულგრძელების გამოჩენით მოეტყუებინა მტერი, ვითომც მას დიდძალი ჯარი ჰყავს და სრულიადაც არ ეშინიან ბრძოლისა, მაგრამ აჯანყებულებს წინადვე სცოდნიათ ჯაშუშებისაგან, რა ძალაც ჰყავს მას და ამისათვის ყურადღებაც არ მიუქცევიათ მისი წინადადებისთვის.

მახდის მომხრეთ ისეთი შესანიშნავი ჯაშუშები თურმე ჰყავთ, რომ სრულიად არაფერი გამოეპარებათ. ამას წინად ერთი ამ ჯაშუშთაგანი დაუჭერიათ სუაკიმის მახლობლად. ძალაქიდგან შეენიშნათ, რომ ქალაქის გარედ ვიღაც პირქვე წვეს. ზავიდა თურმე ქალაქიდამ რამდენიმე სალდათი, წამოეპარნენ უკანიდგან პირქვე მწოლიარე კაცს და დაიჭირეს. ის აღმოჩნდა 15-16 წლის არაბის ბიჭი, რომელიც დიდ-ხანს თურმე არა ნებდებოდა და დიდ-ხანს თურმე იგერებდა მათ შუბით, რომელიც მისს ერთად-ერთს იარაღს შეადგენდა. ბოლოს სასიკვდილოდ დაიჭრა და მაშინ შეიპყრეს სალდათებმა და, რადგანაც შეატყეს, რომ მას დიდი-ხნის სიცოცხლე აღარა ჰქონდა, ჰკითხეს თურმე—ხომ არა გინდარაო. ამაზედ დაჭრილმა ყმაწვილმა უპასუხა ამპარტავნულად: «მე ის მინდა, რომ ამ ჩემი შურით ერთი ეგვიპტელი კიდევ მომეკლა».

— ერთის გაზეთის კორესპონდენტს ამას წინად უნახავს არაბი-ფაშა ცეილონის კუნძულზე და შემდეგი საუბარი ჰქონია მასთან:

— შეჭველია, გეცოდინებათ თქვენ, რა ნაირადაც იმარჯვებს სუდანში მახდი,—უკითხავს კორესპონდენტს.

— მე არაფერი არ ვიცი მახდის მოქმედებაზე იმის გარდა, რასაც გაზეთებში ვკითხულობთ, — მიუგია არაბი-ფაშას.

— თქვენის აზრით, როგორ უნდა ვიგულისხმოთ მახდის მოძრაობა; ხომ არ არის ეს მოძრაობა რეოლიუციის დასაწყისი, რომელსაც შეუძლიან შორს გავრცელდეს?

— არა,—ეს მოძრაობა განსაკუთრებით სარწმუნოებრივი მოძრაობა არის.

— თქვენ იცნობდით მახდის?

— დიაღ, ვიცნობ. ის არის ფრიად ნიჭიერი და ძლიერი ხასიათის კაცი. იმას ჰყავს 150,000 ბუნებითი მეომარი; საზოგადოდ მახდი ისეთს ძალას წარმოადგენს, რომელთან ბრძოლა ადვილი საქმე არ არის.

— ეგვიპტის მმართებლობას შეუძლიან მასთან ბრძოლა, თუ ვერა?

— მე მგონი, რომ შეუძლიან.

— საფიქრებელი ხომ არ არის, რომ ეგვიპტელები დაამარცხოს იმან?

— ვერ დაამარცხებს, ვიდრემდის ინგლისი თავის ჯარებს არ გაიყვანს ეგვიპტიდგან.

— შეიძლება თუ არა, რომ მახდი საკუთრად ეგვიპტეზე მივიდეს.

— მაგისი-კი რა მოგახსენოთ; მე არ ვიცი მაჰომედ-ახმედის (მახდის ნამდვილი სახელია) საიდუმლო განზრახვანი და ამისთვის მაგაზე ვერას გეტყვით.

— როგორ ჰფიქრობთ: ჩამოეცლებიან ეგვიპტეს სუდანის სამფლობელონი თუ არა?

— სუდანი ეხლაც არ არის ხედვისა და თავის დღეშიც აღარ გახდება ის ეგვიპტის პროვინციად,—მიუგო არაბი-ფაშამ: მაგრამ სუდანი რომ ჩამოეცალოს, ამით ეგვიპტეს არამცთუ არაფერი დაეკლდება და არ შესუსტდება იგი, არამედ უფრო გაძლიერდება, რადგანაც იმ ძალას, რომელსაც აქამდინ სუდანს ახმარებდა, შინაურს საქმეებზე მოიხმარებს.

წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო!

«დროების» მე-19 ნომერში დაბეჭდილია ბ. ესებუას *) წერილი, რომელშიაც გვაუწყებს: 1) ვითომც იმან მომაბარა ჩემს სასწავლებელში თავისი შვილი 14 ოქტომბერს 1881 წელსა; მე-2) ვითომც მე აღვუთქვი, რომ მისი შვილი უეჭველად მიღებული იქნება გიმნაზიაში; და მე-3) ვითომც მისმა შვილმა დაჰყო ჩემს სასწავლებელში 17 თვე და მის მომზადებაში გამოვართვი 652 მანეთი.

ბ. ესებუამ დაბინავა თავისი შვილი პანსიონში, რომელიც მე გამართული მაქვს ჩემს სასწავლებელთან, 14 ოქტომბერს კი არა, არამედ სექტემბერში 1881 წ., ესე იგი სასწავლო წლის დასაწყისში. ხოლო 14 ოქტომბერს იმან შემოიტანა პირველი გადასახადი ფული საზრდოობისა და სწავლის ფასად.

სასწავლებელში უმაწვილების მიღების ჟამს მშობლებს რადი ვინმე უდებს აღთქმას, რომ მათი შვილები უსათუოდ მიღებულნი იქნებიან მმართებლობის სასწავლებლებში; მაშ არც მე, და არც სხვას ვისმეს შეეძლო მიეცა ისეთი აღთქმა ბ. ესებუასთვის. ეს არის მხოლოდ, რომ უმაწვილებს საშუალება ეძლევათ, დადგენილი პროგრამის თანახმად გაიარონ კურსი უმეტეს ნაწილად მმართებლობის სასწავლებელთა მასწავლებლების ხელმძღვანელობით.

ბ. ესებუას შვილმა დაჰყო სასწავლებელში მთელი ორი სასწავლო წელიწადი, ე. ი. 19 თვე და არა 17,—წელიწადი რომ სექტემბრიდამ 15 ივნისამდის ჩავაგდოთ, თანახმად სასწავლებლის წესდების მე-20, 21, 22 და 23 მუხლებისა, ბ. ესებუას უნდა გადაეხადა პირველი წლის ფასად 329 მანეთი, ხოლო მეორისა 316 მანეთი; გარნა იმან პირველი წლის სრული ფასი შემოიტანა, მეორე წლისა კი გადაიხადა მხოლოდ 288 მანეთი და დანარჩენი 28 მანეთი ჯერაც არ გადაუხდია. ამ ანგარიშით იმას მოუცია 652 მანეთი კი არა, არამედ 617 მანეთი. და მარტო მომზადებისთვის კი არა, როგორც თითონ ბრძანებს თავის წერილში, არამედ საზრდო-საცხოვრებელში და სწავლაში. ბ. ესებუა განზრახ არას ამბობს იმაზედ, რომ მისი შვილი პირველი წლის განმავლობაში ცუდად სწავლობდა და ამიტომ მოსამზადებელი კლასის პირველ განყოფილებაში მეორე წელიწადსაც დარჩა; მხოლოდ მეორე წელიწადს დაიწყო რიგიანად სწავლა და მაშინ იყო გადაყვანილი მოსამზადებელი კლასის უფროს განყოფილებაში.

ბ. ესებუა გვიწყრება, რატომ ჩემი შვილი

*) გვარი წერილის ავტორისა მისივე ნებით არის გამოცხადებული.

რედ.

ნებულნი, გაუწმინდურებულნი, წაბილწულნი!.. შორს აქედამ... ამ ალაგს მოჰფენია ღვთის რისხვა... წარმოსთქვა მოულოდნელის მრისხანებით თანამგზავრმა და გაეშურა იქით, სადაც ხრამი და ჭიეჭავა იყრებიან ერთად. მე ჯერ ვერ მივხვდი მის მრისხანების მიზეზს, მაგრამ როცა შევიხედე შიგ ეკლესიების ნანგრევებში, არც მე მიამა: ეკლესიები გარდაექციათ თავშესაფარად საქონლისა და წაერყვნათ... სჩანდა, რომ მათ პრაქტიკული ხალხი დაჰპატრონებოდა(აწ სომხების ხელშია სამშვილდე) და ნანგრევებიდამ სარგებლობდა ისე, როგორც კი შესაძლებელი იყო.

მე მივედი თანამგზავრთან. ის გადამდგარიყო კლდის წაწვდილ ქიმზე; რომელსაც ერთის მხრით ჰბანს პატარა ჭაეჭავა და მეორეს მხრით მრისხანე ქცია. მარცხნივ მოჩანდენ კლდეში გამოკვეთილი ქვაბები; მარჯვნივ პიტალო ნაპირი ქციის ხევისა. მაღლა, მაღლა, დინჯად, ამაყად ორბი დაცურაოდა...

მზე ჩადიოდა, როდესაც გამოვემართენით ისევ ციხის კოშკებისაკენ. ციხის კედელზე ერთი ადგილიდამ შესაძლო ყოფილიყო ასვლა. აკედით ციხეზე და გარდავადექით მაღალ კოშკზე. ცა მრთლად მოწმენდილი იყო. მოჰქროდა მცირე ნიავი. ჩამავალი მზის სხივები ოდნივ-ღა ანათებდენ ნანგრევებს.—«ნეტავი თქვენ, უცვლელნო სხივნო! თქვენ ერთ-გვარად მოჰფენთ ნათელს, როგორც აყვავებულ დიდებას, ისე მისს უკანასკნელ ნაშთთა... თქვენ გრძნობას მოკლებული ხართ. რატომ კაციც ეგრე უგულო არ დაუბადნია ღმერთს; რად მიუცია მისთვის ზღვასავით მღელვარე გრძნობა, რომელიც ყოველ წამს ჭლამის ჩანთქას იგი»?!.—წარმოსთქვა ჩემმა თანამგზავრმა და ღრმად ჩაფიქრებული ჩამოჯდა ქვაზე. დღის მნათობი მიეფარა. აღმოხდა მნათობი ღამისა და მოჰფინა ვერცხლებრივ მოკამკამე სხივები დიდებულ ნაშთთ, რომლებზედ ეხლა ცხადად ჰსწერია: «წმიდა ჯვარი და ივერია», და მოჰფინა მათ ფანტაზიური სახე. დუმილს არღვევდა მხოლოდ ხრამის ჩხრიალი და ჭოტის თანაბარი მელანხოლიური ძახილი. ჩემი თანამგზავრი წამოდგა. მის დაჭმუნვებულ სახეს ცხადად დაეტყო სასო-წარკვეთილება, როდესაც მომიბრუნდა და წარმოსთქვა:

«ხედავ მამათგან რაღა დაგვრჩა?—მათ სამარენი
და მტერთაგანა შემუსვრილნი მათნი არენი»!

წავიდეთ აქედგან...

წარმოთქმულმა სიტყვებმა უნებურად ჩამაფიქრეს. ნუ თუ მართლა აღარა დაგვრჩენიარა მამათ სამარეებისა და მათ «შემუსერილი არეების», მეტი, რომელსაც უწყალო ჟამი ადრე თუ გვიან განფანტავს, აღგვის პირისაგან ქვეყნისა, განაქრობს... ნუ თუ... მაგრამ ეს რა იდუმალი ნარნარი ხმაა?! ის ვინ მასმენს გამაცოცხლებელ საიდუმლო სიტყვებს:

«გწამდეს, ღვაწლი მამა-პაპათ არ განქრებიან;
გწამდეს, ეს შთენნი დიდებულნი კვლავ ადგებიან:
მართდ-მადიდებელთ ჯეშმარიტი ღმერთი ძლიერი,
მოგფენთ თვის სხივსა, თვის სიუხვეს და თქვენი ერი,
ქრისტეს ჯვარისთვის წამებული, კვლავ განმრავდება;
თქვენი სამშობლო დანგრეული კვლავ აღუკაზდება»...

გ. ბარნოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიმნაზიაში არ მიიღესო, მაგრამ ეს წერილი სრულიად უსაფუძველოა, რადგან ჩემი სასწავლებლის მასწავლებელთაგან მოწაფეთა ცოდნის დაფასება გაღდებულებითი როდია მმართველობის სასწავლებელთა მასწავლებელთათვის. შეფიბრებითი გამოცდის მიზეზით საცარი როდია, რომ ხან-და-ხან რიგიანად მომზადებული უმაწვილი ვერ მიეღწიოს თავის მიზანს. ე'ლ'ეუს ამხანაგები ახლა წარმატებით განაგრძობენ თავიანთ სწავლას მმართველობის სასწავლებლის პირველ ორ კლასში.

ჩემი სასწავლებლის მიზანი ის არის, რომ უმაწვილები ბლომად შევიყვანო სახელმწიფო სასწავლებლებში, ამ მიზანს ბევრად თუ ცოტად გასრულებთ კიდეც: ჩვენი მოსწავლენი არათ, მოსამზადებელ კლასებში, არამედ უფროს კლასებშიაც შედიან და სწავლით საუკეთესო მოწაფეებთაც ირიცხებიან; ამ სიტყვის სიმართლეში ბ. ე'ლ'ეუს შეუძლიან დარწმუნდეს, თუ კი ინებებს და იკითხავს, სადაც ჯერ-არს.

ჩვენ თითონაც ვსწუხვართ ბატ. ესებუასათვის, რადგან, როგორც მისი წერილიდგანა სჩანს, ვალი აუღია თავის შვილის აღსაზრდელად, მაგრამ რა გუყოთ, რომ ყველანი ღონე მოკლებულნი ვართ მუქთად გავუზარდოთ შვილები.

ხოლო რაიცა შეეხება შეუსაბამო სიტყვებს, რომლითაც საყვა ბ. ესებუას წერილი, ამაზედ მწუხარების მეტი არა შეგვიძლიან რა, რომ თვით ბ. ესებუას აღმზრდელთ ვალის აღებისა შეჭმანებიათ, რომ ჩვეულებრივი ზრდილობა მაინც ესწავლებინათ იმისთვის.

უმორჩილესად გესოხოვ გაზეთების რედაქციებს, რომელთაც დაუბეჭდიათ ან დაბეჭდენ ესებუას წერილს, ამ პასუხსაც ნუ უგულებელ-ყოფენ.

ი. მელიგ-ბეგოვიანროვი.

ქ. თბილისი.

თებერვლის 1-სა დღესა 1884 წ.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

(«ჩრდილოეთის საგენტოსი».)

1 თებერვალს.

ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘ. იარმარკობა გათავდა. ზარალი ცეცხლის წაკიდებისგან 1½ მილიონი მანათია, მზღვეველ საზოგადოებათ იზარალეს: «იაკორმა» 120 ათასი, «სალამანდრამ» 120 ათასი «ჩრდილოეთი საშ» 270 ათასი, პირველმა რუსეთისამ მოსკოვის საზოგადოებასთან ერთად 620 ათასი, პეტერბერგისამ 40 ათასი, «რუსეთმა» და «ნადეჟდამ» 35 ათასი მანათი; ზოგი ზარალი ჯერ კიდევ არ გამოუკვლევიათ, რადგანაც პატრონები აქ არ არიან.

ᲜᲘᲟᲜᲘᲜᲒᲝᲠᲓᲘ. ცეცხლის წაკიდების გამო, რომელმაც გადასწვა გამოძიებელი კომისიის საქმენი, გუშინ ქალაქის საბჭომ განსაკუთრებელი კრება მოახდინა და აღმოსავლეთის ციმბირის გენერალ გუბერნატორს გაუგზავნეს ტელეგრამა, რომლითაც ატყობინებენ, რომ ცეცხლი განძრახიო წაკიდებული და სთხოვენ საგანგებო გამოძიების დანიშვნას საბჭო ამასთანავე აცხადებს ტელეგრამაში, რომ ის დიდის გულმოდგინებით დაეხმარება დანაშაულობის აღმოჩენას.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. მტკიცდება ის ცნობა, ვითომც ედინბურგის ჭერცოგს ებძანა ესკადრით წითელ ზღვაში წასვლა.

საზოგადოებათა პალატაში სჯიდენ ნორსკოტის წინადადებას, რომელიც მმართებლობის განკიცხვას თხოულობს; მაგრამ როდესაც გლადსტონმა ახსნა ინგლისის პოლიტიკა ეგვიპტის შესახებ, ამ წინადადების განხილვა სხვა დროსთვის გადასდვეს.

კაირიდგან გზავნიან სუაკიმში სამს ინგლისის ბატალიონს და გუსარების პოლკს, იქვე გზავნიან შოტლანდიის პოლკსაც, რომელსაც ინდოეთიდგან მოელიან. ნაბძანებია, თუ შესაძლო იქნება, ტოკარის გარნიზონს მიეშველნენ და წითელი ზღვის პორტები გაამაგრონ.

ᲠᲝᲛᲘ. ოფიციოზური სააგენტო «სტეფანი» იუწყება, რომ არაოდეს არავითარი საფუძველი არ ჰქონიათ იმ ხმებს, ვითომც ვატიკანის წინაშე წესდდებოდეს რუსეთის მისსია.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. გამოცხადებულია შემდეგი ტელეგრამა, რომელიც იმიერ კასპიის მაზრის უფროსს მოეწერია ხელმწიფე იმპერატორისათვის 31 იანვარს ასხაბადიდგან: «მაქვს ბედნიერება უქვეშევრდომლესად მოვახსენო თქვენს იმპერატორებითს დიდებულებას, რომ დღეს ასხაბადში მერვის თურქმენ ოთხი თემის ხანები და 24 წარმომადგენელი, რომელნიც ამორჩეულნი არიან ხალხისაგან—თვითეულს 2006 ალაჩუხზე თითო კაცი—თქვენი დიდებულების ქვეშევრდომნი გახდენ და დაიფიცეს კიდეც ამაზე მთელი მევრის ხალხის მაგივრად. ხანების და ხალხის წარმომადგენელთა სიტყვით, მერვის თურქმენები შეიქმნენ თქვენი დიდებულების ქვეშევრდომნი იმიტომ, რომ იმათ არ შეეძლიანთ თავისთავად არსებობა და დარწმუნებულნი არიან, რომ მხოლოდ თქვენი დიდებულების ძლიერს მმართებლობას შეეძლიან დაამყაროს მერვში წესიერება და კეთილდღეობა.

თანახმად სახელმწიფო რჩევის აზრისა, ამას იქით იმ მოწმობებზე, რომელნიც უფლებას ანიჭებენ ტრაქტირებში არაყის ყიდვისას გახსნილი ჭურჭლებიდგან, გადახდება: პირველი რიგის ადგილებში 200 მანეთი, მე-2 და მე-3 რიგის ქალაქებში 100 მან. ფინანსთა მინისტრს, თუ საჭიროება მოითხოვს, შეუძლიან ნება დართოს გახსნილი ჭურჭლიდგან არაყის ყიდვისა ქალაქებზე გაშორებულ სოფლების ტრაქტირებშიაც იმ კვალობაზე, როგორც 3 რიგის ქალაქებში; იმ პირთ, რომელთაც 1884 წლის მოწმობები ადებული აქვთ, უკან დაებრუნდებათ, რაც მომატებული ფული შეუტანიათ.

31 იანვარს რიაზანის, ტამბოვის და კერსკის გლეხების საადგილ-მამულო ბანკის განყოფილებათ დაიწყეს სესხის გაცემა.

ᲐᲗᲘᲜᲐ. ოსმალეთის მმართებლობა ამტკიცებს, რომ კრიტის კუნძულზე არავითარი აჯანყება არ მომხდარაო.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. გლადსტონმა აუწყა საზოგადოებათა პალატას—გორდონისგან მოვიდა ტელეგრამა, რომელშიაც იმედს აცხადებს, რომ ბერბერს და ხართუმს არავითარი საშიშროება არ მოელისო, თვითონ გორდონი გუშინ წავიდა ხართუმში და თან გავლენიანი მამასახლისები გაიყოლაო.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. გაზეთი «პატრი» იუწყება, რომ ანამში ქრისტიანებს სულ ერთიანად ხოცვენო; დიდ-კაცებისგან დაქირავებულნი ავაზაკთა ბრბონი ხოცვენ ქრისტიანებს, ანადგურებენ მათ სოფლებს და თანაც ამას იძახიან: «სიკვდილი, სიკვდილი ქრისტიანებს, სიკვდილი ფრანცუზებს»!

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

—

ᲑᲠ. ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ:

ალი, მოთხ. ნ. ლომოურისა .	30 კაპ.
ლედა მაია, მოთხ. ს. მგალობლიშვილისა . . .	20 —
პედ-უკუღმართი ჯალაბობა, მოთხ. ალ. მირიანაშვილისა.	15 —
იოვანე შავთელი (ბიოგრაფია) ფ. მთაწმინდელისა . .	15 —
ნობათი, საუმაწვილო ჟურნალი, თითო 50 კაპ. მთელის წლის	4 მან.
ხომლი, გამოტ. გოგებაშვილისა	30 კაპ.
ქუნწულა, გამ. გოგებაშვილისა	40 —
Первый шагъ, ლ. აღნიაშვილისა	40 —
ანტონ ფურცელაძის ნაწერი, პირ. წიგნი.	1 მან.
ანატომია კაცისა, ალ. კვთელისა	15 კაპ.
საქართველოს ოხრება, (ისტ. ბროშიურა)	10 კაპ.
სამსარეულო, შედგ. ბარ. ჯორჯაძისაგან . . .	1 მან.

(5—4)

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲐᲕᲝᲢᲔᲑᲘ



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთებ[illegible]ები, საკარაქე, საშაქრე, ჩაისა და ტოდის კოვზები ჩანგლებითა, ფანდასი, დასადგმელი, ბირისაბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწუაო,-სკები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძეკეები, სამარილეები, გარჩიტის საფუსკები, უნაგირები კაცისა და ქალისა, ალვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, ბიუები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, კატერპრუტები, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, ბიგუდები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ეურადღება მიაქციეთ. (100—55)

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | |